



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**ქ. თბილისი**

**2020 წლის 12 ოქტომბერი**

**დისციპლინური საქმე №49/19  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2019 წლის 14 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> - მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 01 აპრილის №152/49-03 წერილით მოსამართლე --- -- ეცნობა №-- საჩივრის შემოსვლის და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 31 მაისს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

**1.1.** საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლის 25 იანვარს --- -- სასამართლოს მოსამართლე --- -- სარჩელზე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. --- -- წარმომადგენლებმა ექსპროპრიაციის განსახორციელებლად შეაგროვეს ყალბი დოკუმენტები (ქონების შეფასება მოხდა არასწორად, რამაც ხელი შეუწყო ანაზღაურების შემცირებას) და წარუდგინეს ისინი მოსამართლეს. თავის მხრივ, მოსამართლე მიემხრო მოსარჩელეს და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებით --- -- შელახა საჩივრის ავტორის უფლებები და უკანონოდ, კონსტიტუციის დარღვევით ჩამოართვა მას ქონება.

**1.2.** გარდა ამისა, --- -- იმითიც დაარღვია კანონი, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდა დააკისრა მოპასუხეს, მაშინ, როდესაც ექსპროპრიაციის სამართალწარმოებისას კანონი პირდაპირ ათავისუფლებს მოპასუხეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან (საჩივრის ავტორი მიუთითებს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების უფლების ჩამორთმვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლზე).

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

**2.1.** 2016 წლის 11 ივლისს --- -- ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართა --- -- საქალაქო სასამართლოს და აღნიშნა, რომ --- -- დადებული ჩარჩო ხელშეკრულების პირობების

შესასრულებლად, იგეგმებოდა საავტომობილო გზის გაყვანა. აღნიშნული პროექტის განსახორციელების პროცესში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა უძრავი ქონების ერთ-ერთ მესაკუთრესთან, -- -- შესაბამისად, -- -- ითხოვდა ამ კონკრეტულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში (სადაც ასევე განლაგებული იყო საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობა), მისთვის სასამართლო წესით ექსპროპრიაციის უფლების მინიჭებას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევას. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 06 ოქტომბრის გადაწყვეტილებით -- -- ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე, დაკმაყოფილდა, -- -- აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება, -- -- საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (აღნიშნული გადაწყვეტილება 2017 წლის -- გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ უცვლელად დატოვა ძალაში).

**2.2.** 2016 წლის 21 დეკემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს მოპასუხის, -- -- მიმართ და მოითხოვა, სადავო ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

საქმეზე სასამართლოს მთავარ სხდომა დაინიშნა 2017 წლის 25 იანვარს. მოპასუხე -- -- 2017 წლის 25 იანვარს დანიშნული სასამართლოს მთავარი სხდომის დღის შესახებ სასამართლო უწყებით გაფრთხილებული იქნა 2017 წლის 18 იანვარს, პირადად.

2017 წლის 25 იანვრის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, -- -- და სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება -- -- სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ. მოპასუხე -- -- სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა -- ლარის ოდენობით.

2017 წლის 25 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება -- -- გაასაჩივრა 2017 წლის 09 თებერვალს. 2017 წლის 20 მარტის განჩინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე საჩივრის ავტორის მოთხოვნა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე იყო დაუსაბუთებელი და ძალაში დატოვა -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 25 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება. 2017 წლის 20 მარტის განჩინება მხარეს გაეგზავნა 2017 წლის 24 აპრილს. 2017 წლის 26 აპრილს მოპასუხემ, -- -- სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2017 წლის 25 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 19 სექტემბრის განჩინებით აპელანტს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ძალაში დარჩა საქმეზე მიღებული 2017 წლის 25 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2017 წლის 20 მარტის განჩინება აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ (-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 19 სექტემბრის განჩინება 2018 წლის -- განჩინებით ძალაში დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ).

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 31 მაისის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7

მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის, „თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება...“ კანონით განსაზღვრული წესების დაცვით, „... და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.“ იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ სარჩელში მითითებული სამართლებრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება.“

საქმის მასალებით დადასტურდა, რომ მოპასუხე -- -- 2017 წლის 25 იანვარს დანიშნული სასამართლოს მთავარი სხდომის დღის შესახებ სასამართლო უწყებით გაფრთხილებული იქნა 2017 წლის 18 იანვარს, პირადად. მიუხედავად ამისა, 2017 წლის 25 იანვრის სასამართლო სხდომაზე მოპასუხე არ გამოცხადდა. საქმეში არ მოიპოვება დოკუმენტი, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ -- -- 2017 წლის 25 იანვრის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა საპატიო მიზეზით (სახეზე არ გვაქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა).

ამდენად, მოსამართლე -- -- გადაწყვეტილების მიღებისას, მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისად დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლეთა მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას სასამართლო წყვეტს და მხარე რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 31 მაისის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

-- -- №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ კანონიერების ნაწილში.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**